საქართველოს პრეზიდენტის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

N 13/07/03 2016 წლის 13 ივლისი ქ. თბილისი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის გადაყენებისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სახელმწიფო რწმუნებულისა და მისი ადმინისტრაციის დანიშვნის შესახებ

საქართველოს კონსტიტუციის 69-ე მუხლის პირველი პუნქტის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტისა და მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. გადაყენებულ იქნეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის უფლებამოსილება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ახალი შემადგენლობის დამტკიცებამდე განახორციელოს სახელმწიფო რწმუნებულმა და მისმა ადმინისტრაციამ.

3. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სახელმწიფო რწმუნებულად დაინიშნოს **ზურაბ პატარაძე**.

4. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში დაინიშნოს სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია და განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით: **ლევან გორგილაძე, სულიკო თებიძე, რამაზ ბოლქვაძე** და **იოსებ აბულაძე.**

გიორგი მარგველაშვილი

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი